

გუბერნატორი გორის ქალთა კამერულ გუნდს ეწვია

14 მაისი 2018

შიდა ქართლის რწმუნებული-გუბერნატორი, აკაკი მაჭუტაძე გორის ქალთა კამერული გუნდის რეპეტიციას დაესწრო. გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი, თეონა ცირამუა გუბერნატორს სამომავლო გეგმებსა და დაგეგმილი კონცერტების შესახებ ესაუბრა. გორის ქალთა კამერული გუნდი 1970 წელს მუსიკოსებმა, შალვა მოსიძემ და სანდრო კაჭარავამ შექმნეს. 2013 წლიდან გუნდის სამხატვრო ხელმძღვანელი თეონა ცირამუა გახდა. ქეთი მეღუასა და გორის ქალთა კამერული გუნდის ერთობლივი პროექტის ფარგლებში, 2016 წელს შედგა ევროპული ტურნე. 28 კონცერტი გაიმართა ევროპის სხვადასხვა ქალაქში - გერმანიაში, ჰოლანდიაში, საფრანგეთში, დანიაში, შვედეთში, პოლონეთში, ბელგიაში და დიდ ბრიტანეთში. კამერული გუნდი ამჟამად 26 მაისის ღონისძებისთვის ემზადება.